კვირა, ივნისის 8 1919 წ.

ფასი 1 მანეთი.

№ 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

წ ლ ი წ ა დ ი  მ ე ს ა მ ე

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

**სამაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კ ა ნ ტ ო რ ა**

**გაზეთის ფასი;** ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

„ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქციის კანტორასთან დაარსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო გაიღეთ შემოწირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე მკითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

---

ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძე და მეუღლე მისი ნიფადორა გაიოზის ასული აუწყებენ ნათესავთა და ამხანაგ-მეგობრებს, რომ კვირას, 8 ივნისს დანიშნულია საფიჩხიის ეკლესიაზე დილის 10 საათზე ორმოცის წირვა და პანაშვიდი მეორის დისწულის სტუდენტ

**ანტოშა ილარიონის ძე ხაზარაძისა.**

2—2

---

კვირას 8 ივნის (ახალი სტილით) დილის 10 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი სომხებთან ბრძოლის დროს გმირულათ მოკლულ

**რუბენ ბაგრატის ძე პაპუაშვილის,**

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ჭირისუფალნი მისი.

2—2

---

ქ. ქუთაისში: კვირას 8 ივნისს (ახ. სტილით) 10 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

**ანტოშა ხაზარაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდათუთქულნი მშობლები ილარიონ ანტონის ძე და გულჩინა გაიოზის ასული ხაზარაძეები შვილებითურთ.

2—2

---

დედა ნატალია ბდას ასული ნიკოლაძისა, შვილები: იოსებ გრიგოლის ძე კემულარია, სოფიო გრიგოლის ასული გოთუასი და ანეტა გრიგოლის ასული ქვანიასი, სიძეები პართენ გოთუა და ივანე ქვანია, ძმა იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძე, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 8 ივნის 11 საათზე დილით მთავარ-ანგელოზის ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვალებულის მათის უსაყვარლესის

**ნინო ივანეს ასულის კემულარიას**

სულის მოსახსენებლათ.

1—1

---

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მაღლაკის კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას რომ შავი სახადით გარდაიცვალა სახალხო მასწავლებელი და მაღლაკის პარტიული კომიტეტის თავმჯდომარე

**ვასილ ბიბილეიშვილი.**

1—1

---

გულდათუთქულნი: შვილი მოსე, რძალი მაშო, შვილები ივლიტა ჩიმაკაძისა, თეოდორა ქარჩავასი, ლუბა, ანიჩკა და ნინა მაზლი იაგორ და მეუღლე მისი ანეტა, სიძეები ნიკიფორ ჩიმაკაძე და ვლადიმერ ქარჩავა აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ უეცრად გარდაცვალებას პირველთათვის უძვირფასესი დედისას და დანარჩენთათვის დაუვიწყარ რძლისას

**პასიკო კაციას ასულის შავლაყაძისა**

გარდაცვალებას. გასვენების დღე ცალკე იქნება განცხადებული.

1—1

---

ქუთაისის ოლასკურის სასაფლაოს სამზრუნველო საბჭო აცხადებს, რომ კვირას 8 ივნისს არის დანიშნული შეკრება პეტრე პავლეს ეკლესიის გალავანში ნაწირვებს სასაფლაოს

**იჯარით გასაცემათ**

საბჭო.

1—1

---

**ექიმი** მედიცინისა საზღვარ გარეთელი უნივერსიტეტ. **ფ. ი. კაკიტელაშვილი** ღებულობს ავადმყოფებს ქალთა, საშარდის (ტრიპერი, სიფილისი. ექიმობა 606 და 914) და შინაგანთა. პუშკინის ქუჩა. საკუთარი სახლი. პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ექიმი** **ბიკტორ ნიკიფორეს ძე ხუსკივაძე** ღებულობს ავათმყოფებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი.

24—20

---

**კბილის ექიმი** **ნ. ა. მხეიძე** ღებულობს ავადმყოფებს დილით 9—3 საათამდე. ივანოვის ქუჩა, დუჩაიძის სახლი.

24—16

---

## პარტიულ კონფერენციისათვის

ოც და-ერთ ივნისს თბილისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენციის პირველი სხდომა გაიხსნება.

ორი წლის პარტიულ ტრადიციით გაწვრთნილისა, და ორი წლის გამოცდილებით დადინჯებულ ჩვენს დელეგატებს იქ სამი დიდი პრობლემა ექნება გადასაშინჯავი.

მიზანი,

საშუალება

და მიღწევა.

ჩვენი მიზნის პროგრამული შენობა საქართველოში არსებული ყველა იდეოლოგიურ შენობაზე უფრო მკიდრო გამოდგა, მაგრამ თუ ამ შენობაში საქართველოს მკვიდრთა ფრიად უმცირესობაა შეფარებული, და ზოგი მათგანი პარტიულ დგმურობასაც კი ეწევა.—ეს ხდება იმიტომ, რომ მთელი ეს შენობა ქვიშაზე გვაქვს აგებული.

არ იცი რომელი ქარი წააქცევს და რომელი ნიაღვარი წაიღებს ამ შენობას.

მარტო იდეოლოგიურ ღირსების სიმტკიცე და სიძლიერე რომ არ კმარა საქმის საწარმოებლად, ეს სხვათაშორის ჩვენ მართველ პარტიის ცხოვრებიდანაც ვიცით:

დღეს მენშევიზმი მხოლოდ ორგანიზაციული და ტაქტიკური შემეცნებაა,

გამგე პრინციპების დარგში ჩვენ არაფერი დაგვიკარგავს, შევიძინეთ მხოლოდ.

სოციალისტური მთავრობის აზროვნება და მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის ყოველ კუნჭულში მორცხვი, მაგრამ ჭაშკარა კომპრომისია ჩვენი ეკონომიური, სამხედრო და პოლიტიკურ მსოფლმხედველობის სასარგებლოდ.

და ეს იმიტომ, რომ ეროვნულ-დემოკრატიის მსოფლმხედველობა, მთელი საქართველოს უშუამავლო მსოფლმხედველობაა.

ამ მხრით ჩვენ ჩვენი იდეოლოგიის, მხოლოდ სტილისტიური და ტეხნიკური გაშალაშინება დაგვჭირდება.

—თუ დღემდე ავტონომიას მოვითხოვდით და ჩვენს მაქსიმალურ ეროვნულ მოთხოვნილებას ტახტისან დღისათვის ვინახავდით, დღეს ეს ტახტიც დადგა და დამოუკიდებელი საქართველოც ხელშესახები ფაქტია.

რეალისტური პოლიტიკის ლოღიკური თანდათანობა გვავალებს ჩვენ ამ ფაქტის სხეულობრივ განხილვას და მთლიან სახედ ქცევას.

პარტიული ცხოვრება იგივე სახელმწიფოებრივი ცხოვრება მხოლოდ უფრო მცირე ზომით და ცხადია უფლება-მოვალეობის წესი პარტიაშიც იგივეა, რაც სახელმწიფოში.

პარტიასაც ჰყავს თავისი კანონმდებელი, თავისი ადმინისტრაცია, თავისი ლაშქარი, და შემდეგ თავისი ქვეშევრდომი თანამოაზრეები.

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციულ ცხოვრებაში, რომ მხოლოდ უფლებისა და მოთხოვნი-

